პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3

ივლისი ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 153 (14149)

10 დღით ადრე

ლენინგრადი. ძალოვანი კვანძის სამმართველოს წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვს მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოს უბანს, რომელსაც ბ. პაქსამვილი ხელმძღვანელობს.

მრომისმოყვარე კოლექტივმა ეასულ ხუთ თვეში 203 ათასი მანეთის ღირებულების სამუშაო შეასრულა და გეგმა 135 პროცენტით გაანაღდა. ახლახან უბანმა 10 დღით ადრე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა.

უბნის მიღწევაში თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ მებულდოზერეებს ვ. აკობიას, ვ. ტარასენკოს და სხვა მოწინავე მუშებს.

ედ. კვირტია.

ᲙᲣᲗᲜᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲒᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲠᲗᲔᲒᲘᲗᲘ ᲜᲘᲗᲑᲐᲗᲔᲑᲘ

საქართველოს კპ ზოგადოების რაიკომის მდივანმა ა. შეროზიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ანთიამ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მეპარკეებმა პირველი გამოკვლევით 28 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბრეშმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 221,6 ტონა ბრეშმის პარკი ნაცვლად 220 ტონისა.

გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს ნარაზენის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც წლიური გეგმა 148 პროცენტით შეასრულეს. წარმატებები მოიპოვეს ყახათის მარქსის სახელობის, ახალსოფლის, კოლხიდის, შამგონის, ურთის, ჩხორროის, დარჩელის, ორჯონიკიძის, ოდიშის, რიყის, გრიგოლიშვილის, ვიხასკარის კოლმეურნეობებმა. პარკის დამზადება გრძელდება.

ᲛᲔᲜᲘᲜᲒᲠᲘᲡ რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა 27 ივნისისათვის შეასრულეს: ხორცისა — 100,4 პროცენტით, რძისა — 102 პროცენტით, მატყლისა — 117 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა კვერცხის დამზადების გეგმა. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მარგიევმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. ფურგლიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ზ. კოზაევმა.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები: ხორცისა — 129 პროცენტით, რძისა — 109 პროცენტით, კვერცხისა — 141 პროცენტით, მატყლისა — 102 პროცენტით. ამ წარმატებათა შესახებ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ტოლიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. კოპაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. შუბითიძემ.

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობას

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებს, და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების ყველა მუშაკს.

საბჭოთა სკოლის ხაუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბნენ მოსკოვში, რათა საქმიანად და ღრმად განიხილონ ამოცანები, რომლებიც პარტიამ დასახა საშუალო ზოგადსაგანმათლებლო სკოლის მუშაობის გაუმჯობესების, ახალგაზრდა თაობის სწავლებისა და აღზრდის, შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მოსწავლეთა მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდნენ და გაიზარდნენ მასწავლებელთა ახალი კადრები — ჩვენი ხალხის სიამაყე. საბჭოთა მასწავლებლები — ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი — კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებით მთელ ძალღონეს და ცოდნას ახმარენ ხალხის ფართო მასების განათლების საქმეს, დიდი წვლილი შეაქვთ სოციალისტური საზოგადოების სულიერ და მატერიალურ სიმდიდრეთა გამრავლებაში.

მასწავლებელთა თავდადებული მუშაობა ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდისათვის შესანშნავ შედეგებს იძლევა. საბჭოთა სკოლის მიერ აღზრდილ ადამიანთა თაობანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს გვიჩვენებენ, ბეჯითად აღწევენ წარმატებებს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში, ფხიზლად დგანან სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე. მასწავლებლის კეთილშობილური შრომა გულწრფელი პატივისცემითა და მადლიერებით ეკიდება მთელი საბჭოთა ხალხი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ძალიან აფასებენ მასწავლებელთა მოქალაქეობრივ ღვაწლს ახალგაზრდა თაობის აღზრდაში და დიდ მადლობას უხდიან მათ ხალხისადმი თავდადებული სამსახურისათვის.

ჩვენი ქვეყანა ამჟამად თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით გიგანტურ ამოცანებს წყვეტს კომუნისტური მშენებლობის დარგში. ასეთ პირობებში მნიშვნელოვნად მაღლდება სკოლის როლი, მასწავლებლის პასუხისმგებლობა ისეთი ადამიანთა მომზადებისათვის, რომლებსაც თავიანთი იდეური და მორალური თვისებებით, განათლების დონითა და შრომითი წრთობით წარმატებით შეუძლიათ განაგრძონ უფროს თაობათა საქმე, ერთგულად ემსახურონ თავიანთ სამშობლოს, თავიანთ ხალხს. სკოლის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა ის არის, რომ სკკპ პროგრამის, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უზრუნველყოს ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება, მთლიანად გამოიყენოს სოციალისტური საზოგადოების შესაძლებლობანი საბჭოთა ადამიანის, კომუნიზმის შენებელის პიროვნების ყოველმხრივი განათლებისა და ჰარმონიული განვითარებისათვის.

სკოლა უნდა აძლევდეს ყველას, ვინც ცხოვრებას იწყებს, საზოგადოებრივი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის სრულფასოვან ზოგად განათლებას, უნერგავდეს ახალგაზრდა თაობას კომუნისტურ მსოფლმხედველობას, ზრდიდეს მოსწავლეებს კოლექტივიზმის, სამშობლოს სიყვარულისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ამზადებდეს ახალგაზრდობას საზოგადოების საკეთილდღეო შრომისათვის, უნერგავდეს უნარს გადაჭრით წინააღუდგეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებებს. ახალგაზრდობისათვის კომუნისტური ზნეობისა და იდეური სიმტკიცის ჩანერგვის დაუშრეტელი წყაროა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიადი მაგალითი, კომუნისტური პარტიის უდიდესი გამოცდილება, შუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები.

სკოლის წინაშე მდგომი პასუხსაგები ამოცანების შესრულება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მასწავლებელზე, მის იდეურ სიმწიფეზე, მეცნიერულ ცოდნაზე, პედაგოგიურ ოსტატობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტივობაზე. კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა აღსაზრდელად საჭიროა მასწავლებელი განუწყვეტლივ იმაღლებდეს იდეურ-თეორიული და პროფესიული მომზადების დონეს, ყოველთვის და ყველაფერში მაგალითს უჩვენებდეს ახალგაზრდობას.

სკოლისა და მასწავლებლების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს პედაგოგიკის მეცნიერება, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სახალხო განათლების დაყენების მეცნიერული საფუძვლები, ყოველმხრივ შეიმუშავლოს და განაზოგადოს საუკეთესო პედაგოგთა გამოცდილება, გამოავლინოს სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების ახალი შესაძლებლობანი.

ახალგაზრდა თაობის აღზრდა მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის საქმეა. სკოლისათვის, მასწავლებლის მუშაობის ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის ზრუნვა კვლავაც პარტიული ორგანიზაციების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და პროფკავშირების უურადღების ცენტრში იქნება. სკოლას აქტიურად უნდა დაეხმარონ ლენინური კომკავშირი და პიონერული ორგანიზაცია. სკოლას ყოველთვის უნდა ეხმარებოდნენ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივები, საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მთელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობას ულოცავს ნაყოფიერ მუშაობას და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა მასწავლებლები, სახალხო განათლების ყველა მუშაკი ძალღონეს ერთგულად შეასრულებენ თავიანთ მაღალ მოვალეობას პარტიისა და ხალხის წინაშე, მთელ ძალღონესა და ცოდნას, გულის სითბოსა და სულიერ ენერგიას მოახმარენ ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲘᲗᲑᲐᲗᲔᲑᲘ

საქართველოს კპ ზოგადოების რაიკომის მდივანმა ა. შეროზიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ანთიამ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მეპარკეებმა პირველი გამოკვლევით 28 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბრეშმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 221,6 ტონა ბრეშმის პარკი ნაცვლად 220 ტონისა.

გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს ნარაზენის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც წლიური გეგმა 148 პროცენტით შეასრულეს. წარმატებები მოიპოვეს ყახათის მარქსის სახელობის, ახალსოფლის, კოლხიდის, შამგონის, ურთის, ჩხორროის, დარჩელის, ორჯონიკიძის, ოდიშის, რიყის, გრიგოლიშვილის, ვიხასკარის კოლმეურნეობებმა. პარკის დამზადება გრძელდება.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲘᲡ რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა 27 ივნისისათვის შეასრულეს: ხორცისა — 100,4 პროცენტით, რძისა — 102 პროცენტით, მატყლისა — 117 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა კვერცხის დამზადების გეგმა. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მარგიევმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. ფურგლიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ზ. კოზაევმა.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები: ხორცისა — 129 პროცენტით, რძისა — 109 პროცენტით, კვერცხისა — 141 პროცენტით, მატყლისა — 102 პროცენტით. ამ წარმატებათა შესახებ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ტოლიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. კოპაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. შუბითიძემ.

გეგმაც, რეალიზაციაც

ხუთწლედის გადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი სისტემატურად აუმჯობესებს საწარმოო გეგმის ეკონომიურ მაჩვენებლებს, მომხმარებელს აწვდის მაღალხარისხოვან აბრეშუმის ქსოვილებს.

საუკეთესო შრომისათვის პირველ კვარტალში ფიქრები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკური პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ფულადი პრემიით.

ჯილდოს პასუხად აქ კიდევ უფრო გაუმჯობესდა მუშაობა. მზა აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების ეკვსი თვის გეგმა 25 ივნისს შესრულდა, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — ორი დღის შემდეგ.

თვის ბოლოსდე, დარჩენილ დღეებში აბრეშუმქსოველებმა მომზმარებელს მიაწოდეს 450 ათასი მეტრი ზეგეგმითი სხვადასხვა სახის მზა აბრეშუმის ქსოველები და 300 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქციის რეალიზაცია მოახდინეს, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო.

□ □

ᲒᲚᲔᲑᲘᲡ მანძილზე მოწინავე სამრეწველო საწარმოთა რიგებში დგას თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“. აქ სისტემატიურად დიდი გადაჭარბებით სრულდება საწარმოო გეგმები. სახალხო მაჩვენებლებს აღწევს კომბინატის საქსოვი საამქრო. მარტო მაისში გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 4.960 მეტრი ხამი ქსოველი. მაღალი წარმატებები მოიპოვეს ამ საამქროში აგრეთვე ივნისშიც.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ თქვენ ხედავთ საამქროს მოწინავე ადამიანებს (მარცხნიდან): ქვეოსტატ ნ. კობლიშვილს, მქსოველებს ლ. თავლაძეიშვილს და ნ. ჯიკაურს, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 115-120 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ

ᲐᲚᲕᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲫᲙᲘᲪᲔ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ

საბჭოთა მეურნეობების სანიმუშო წესდება

დამტკიცებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობის (საკავშირო დაქვემდებარების) სანიმუშო წესდება. იგი არ ცვლის და არ არის დუბლი ცნობილი დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო წარმოებრივი საწარმოს შესახებ, როგორიც საბჭოთა მეურნეობაა. ახალი დოკუმენტი აფორმებს და ამკვიდრებს საბჭოთა მეურნეობის სამართლებრივ მდგომარეობას, ასახავს მისი სამეურნეო საქმიანობის თავისებურებებს.

წესდებაში ჩამოყალიბებულია საბჭოთა მეურნეობის ძირითადი ამოცანები, ჩამოთვლილია სავალდებულო ღონისძიებანი ჩვენი მთავარი სიმდიდრის — მიწის უკეთ გამოყენებისათვის.

(საკდესი).

გეგმა ორი დღით ადრე

უარაინის სსრ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ჩამბული არიან შეჯიბრებაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და უკრაინის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე, 28 ივნისს, შეასრულეს რეალიზებული პროდუქციის მოცულობისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა.

ნარმოება ორჯერ გაიზარდა

ლიტვის სსრ ქალაქ პანევეჟის ქარხანა „ეკრანასი“ ორჯერ გაადიდებს კინესკოპების წარმოებას. ახლახან აქ საექსპლოატაციოდ გადასცეს „ცისფერი ეკრანების“ ასაწყობი დიდმწარმოებლური ავტომატიზებული ხაზი. წლის ბოლომდე ამოქმედდება გადიდებული ეკრანების (59 სანტიმეტრი დიაგონალის) სატელევიზიო კინესკოპების ასაწყობი კიდევ ორი ასეთი ხაზი.

სულ უფრო ფართოვდება ეს დიდი საწარმო. შენდება კინესკოპების მუშის კოლტების კორპუსი, დამზმარე ნაგებობანი. (საკდესის კორ.).

მიაღწიეს საპროექტო მიჯნას

ნოვომოსკოვსკი, (დნეპროპეტროვსკის ოლქი, საკდესის კორ). ნოვომოსკოვსკის ქარხნის მეტალურგებმა ვადაზე ერთი წლით ადრე საპროექტო სიმძლავრეთა ამოქმედებას ჩვენს ქვეყანაში უდიდესი 159-დან 529 მილიმეტრამდე დიამეტრის მილების უწყვეტი ელექტროშედუღების დანი. მოწყობილობის სიმძლავრეთა ათვისებაში განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია გამოცდილი ოსტატის ეგენი პეტროჩიკის ცვლამ. მოწინავე კოლექტივი ყოველ საათში ამზადებს თითქმის ექვსი ტონით მეტ გაზსადენ მილებს, ვიდრე გათვალისწინებულია პროექტით.

საწარმოს მეტალურგებმა უკვე წლის დამდეგიდან მშენებლობებს გაუზავნეს ზეგეგმითი გაზსადენი მილებით დატვირთული რამდენიმე სარკინიგზო შემადგენლობა.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

2 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბნენ განათლების მუშაკთა 2,5 მილიონანი არმიის წარმომადგენლები. აქ არის ოთხი ათასამდე დელეგატი — მასწავლებლები, სახალხო განათლების მუშაკები, მეცნიერები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები.

ამ სრულიად საკავშირო პედაგოგიური საბჭოს მონაწილეთა შემოქმედებითი აზრი მიმართულია იმისათვის, რომ უკეთ შეასრულონ პარტიისა და ხალხის დავალებანი კომუნიზმისათვის მტკიცე მებრძოლთა აღზრდის საქმეში.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ მინისტრები, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი თანამშრომლები, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა და საწარმოთა წარმომადგენლები. ყრილობას ესწრებიან მოძმე სოციალისტური ქვეყნების — ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები.

დელეგატები და სტუმრები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ვ. ვ. გრიშინს, დ. ა. კუნაევს, პ. მ. მაშეროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ი. ვ. კაბატნოვს, თ. დ. კულაკოვს, მ. ს. სოლომენცევს.

ყრილობა გახსნა სსრ კავშირის განათლების მინისტრმა მ. ა. პროკოფიევმა.

სიტყვა მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის, რომელმაც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობისადმი. ყრილობის მონაწილეებმა უდიდესი უურადღებით მოისმინეს ეს მისალმება.

შემდეგ მოხსენება „საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მუშაობის მდგომარეობა და გაუმჯობესების შემდგომი ღონისძიებანი“ გააკეთა სსრ კავშირის განათლების მინისტრმა მ. ა. პროკოფიევმა.

კამათში მოხსენების გამო პირველი გამოვიდა მოსკოვის სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების გამგე გ. ლ. ასეევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში ჩვენი ყრილობისადმი, თქვა მან, მოცემულია სახალხო განათლების ყველა მუშაკის შრომის მაღალი შეფასება. ჩვენ დიდი ნდობა გამოგვცხადეს პარტიამ და ხალხმა.

სახალხო განათლების მუშაკებს, ხაზი გაუსვა ორატორმა, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვან რაზმს, ნათლად აქვთ შეგნებული თავიანთი ამოცანები ორი სოზოგადოებრივი სისტემის გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში. ისინი მზად არიან პრინციპულად და შეურიგებლად დაიცვან ჩვენი მსოფლმხედველობის მარქსისტულ-ლენინური საფუძვლები, ებრძოლონ ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებას, აღზრდონ ახალგაზრდობა პარტიის იდეებით.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის გადიდებისათვის ის დიდი მუშაობა, რომელიც დედაქალაქის სკოლებში წარმოებს, დადებითს შედეგებს იძლევა. წლითწლობით უმჯობესდება მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი, მცირდება ორწლიანთა რიცხვი და შემჩნეულია საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის პირობები.

უკრაინის პედაგოგთა სახელით გამოვიდა კიევის 62-ე სკოლის მასწავლებელი ნ. ა. ციგანენკო, რომელმაც უამბო დელეგატებს, რომ მისი სკოლა გულმოდგინედ მუშაობს მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და ცოდნის ხარისხის გაუმჯობესების, სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე. ბევრი რამ დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, მასწავლებლის ოსტატობაზე, რომელიც მუდამ უნდა იდგეს პედაგოგიკური მეცნიერების მიღწევათა დონეზე.

— ბელორუსი ხალხი, — ამბობს ქალაქ მინსკის № 91 საშუალო სკოლის მასწავლებელი რ. გ. ბორისოვა, — ემზადება დიდი მოვლენისათვის თავის ცხოვრებაში, თავის ისტორიაში — რესპუბლიკის 50 წლისთავისათვის. ახალი სოციალისტური კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის სკოლას. მოზარდი თაობის წარმატებით აღზრდას უპირველეს ყოვლისა მასწავლებელი უზრუნველყოფს.

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომ უახლოეს ხანში დაიწყოს მოლაპარაკება როგორც შეტევითი სტრატეგიული ატომური იარაღის გადატანის სისტემების, ისე ბალისტიკური რაკეტების წინააღმდეგ დაცვის სისტემების კომპლექსური შეზღუდვისა და შემცირების თაობაზე.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲘᲚᲓᲝ

37 წლის წინათ სრულიად ახალგაზრდა გოგონამ ნადეჟდა გელდიაშვილმა მოკრძალებით შეაღო ქ. გორის მე-11 საშუალო სკოლის კარი. მას შემდეგ იგი ამ სკოლაში გეოგრაფიას ასწავლის, მოსწავლეებს უნერგავს მშობლიური მხარის სიყვარულს.

თავიდანვე მასწავლებელი გატაცებით უამბობდა გოგონებსა და ბიჭუკებს მსოფლიოს ქალაქებსა და ადამიანებზე, მათ ადათ-წესებსა და ჩვეულებებზე. მისი გაკვეთილები ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. ნადეჟდას ხელმძღვანელობით მოეწყო სკოლაში გეოგრაფიის კაბინეტი, ჩამოყალიბდა მხარეთმცოდნეობის წრე, სადაც ბავშვები ყოველწლიურად ამზადებენ სპეციალურ ალბომებს, თვითნაკეთ რუქებს.

ამ წრემ სახელი გაითქვა მთელს საქართველოში იმით, რომ მისმა წევრებმა ჩაიწერეს ლეგენდები და მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან. ნორჩი გეოგრაფები ზაფხულის არდადეგების დროს სწავლობენ ჩვენი სამშობლოს მთა-ბარს, აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს.

წლებს წლები მისდევს და ნადიას ცხოვრების კალენდარს მოსწავლეების ახალი გვარები ემატება. პედაგოგიურ ასპარეზზე მას მხარს უმშვენებენ მისი აღზრდილები ქეთევან დემეტრაშვილი და ლიანა მარგველაშვილი, ნანული ვარძელაშვილი და ზინაიდა მახარაშვილი. რომელი ერთი დავასახელოთ...

ნადეჟდა გელდიაშვილი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. იგი განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეა.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ნ. გელდიაშვილს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დაჯილდოებულია „სახალხო ნიშნის“ ორდენით, მედლებით, აგრეთვე სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“.

და აი სასიხარულო ცნობა მოვიდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბრძანებულებით მასწავლებელს ნადეჟდა ვასილის ასულ გელდიაშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ამჟამად ნადეჟდა გელდიაშვილი, როგორც საქართველოდან წარგზავნილი დელეგატი, მონაწილეობას იღებს კრემლის ყრილობას სასახლეში მასწავლებელთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობაზე.

ქ. გორის მე-11 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი კი ზეიმობს იმ დიდი ჯილდოს გამო, რომელიც მისმა დამსახურებულმა წევრმა ღირსეულად მოიპოვა.

თ. ᲗᲐᲠᲫᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

გორის მე-11 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ

სასიხარულო ცნობამ აღგვაფრთოვანა — დედაქალაქის ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს ნიკოლოზ რომანოზის-ძე ჯაფარიძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 1 ივლისს მრძანებულებით მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით და ოქროს მედლით „ნამგალი და ურო“. ეს ღირსსახსოვარი მოვლენაა არა მარტო სკოლის ისტორიაში, არამედ განათლების ფრონტის ცხოვრებასა და მუშაობაშიც. იგი დაემთხვა მასწავლებელთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის გახსნის დღეს, სადაც რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ნ. ჯაფარიძე, ჩვენი რესპუბლიკის სახელით მტკ სხვა წარმომადგენლებთან ერთად იმყოფება როგორც ამ დიდებული ფორუმის მონაწილე.

ნ. ჯაფარიძემ სამი ათეული წელი ბრძოლა ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში გაატარა, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სასწავლო დაწესებულებებზე. დიდი ცოდნა და პედაგოგიური ხელოვნებით დაჯილდოებულმა ადამიანმა მოსწავლეებს შეაყვარა ქიმიის მეცნიერება. მან არა მარტო მოსწავლეები, არამედ მასწავლებელთა ახალგაზრდა კადრებიც შესანიშნავად აღზარდა და გამოაწრთო.

ამიტომ არის, რომ მისი მოსწავლეები მუდამ გულმოდგინედ სწავლობენ ამ სანატერესო საგანს, საშუალო სკოლის კურსის დამთავრების შემდეგ კი უპირატესად იმ უმაღლეს სასწავლებლებში შედიან, სადაც ქიმიის გაღრმავებული კურსის სწავლება მიმდინარეობს.

ნ. ჯაფარიძის მზრუნველობით ამ სკოლაში მოწყობილი ქიმიის კაბინეტი ერთ-ერთი სანიმუშო სასწავლო ბაზაა მთელ რესპუბლიკაში.

მუდამ დაუღალავი და დიდი ენერგიის მქონე ნ. ჯაფარიძისათვის მთავარი მაინც ის არის, რომ იგი შესანიშნავი აღზრდელი პედაგოგია. მისი მაღალი ჰუმანურობა, პედაგოგიური ტაქტი მუდამ ხიბლავდა და ამჟამადაც დიდებულ მაგალითს აძლევს ჩვენს მოზარდ თაობას. მთავარი ის არის, რომ იგი ზედმიწევნით კარგად იცნობს მოსწავლის სულიერ სამყაროს და დაუღალავად ზრუნავს მისი შეიარაღებისათვის სრულფასოვანი ცოდნა-ჩვევებით. იგი სისტემატურად უნერგავს ბავშვებს არა მარტო საგნისადმი სიყვარულს და მისი შესწავლის ღრმა ინტერესს. იგი, სამშობლოს ამაგდარი შვილი, ახალგაზრდაში ზრდის პატრიოტიზმის უძლიერეს გრძნობას. ამიტომაც უსაზღვროდ უყვართ დიდებული პედაგოგი და გულისხმიერი აღმზრდელი.

ოქტომბრის რაიონის მასწავლებლობა სიამაყის გრძნობით, სულით და გულით ულოცავს ნ. ჯაფარიძეს ამ საპატიო წოდებას და მაღალ ჯილდოს. პარტიისა და მთავრობისადმი უდიდესი მადლობის გრძნობით ვამსჭვალული ჩვენი მასწავლებლები მაქსიმალური ენერგიით იმუშავებენ დიადი ეპოქის ბედნიერი ბავშვების აღზრდისათვის.

**

კომუნისტი თავის ორგანიზაციაში

თვითთანგარიში

შემოწმების კარგი ფორმაა

ეს არცთუ დიდი ხნის წინათ იყო. პარტიულ კრებაზე კომუნისტების ავანგარდულ როლზე ვმსჯელობდით. ამ მხრივ ბევრი კომუნისტი ვახსენეთ როგორც აქტიური, მოწინავე. მაგრამ პასიურთა გვარებიც არ დავივიწყეთ. ერთი სიტყვით, საქმე ეხებოდა იმას, თუ ვის რა წვლილი შეაქვს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში, რით გამოირჩევა კომუნისტი უპარტიოსაგან.

მაშინ მე დავაყენე საკითხი: აი ჩვენ ვლაპარაკობთ კომუნისტების აქტივობაზე, თან არ აჯობებდა, რომ კომუნისტი თავის საქმიანობის ირგვლივ პისტემატურად ანგარიშს აბარებდეს პარტიული ორგანიზაციის კრებას?

ეს წინადადება მოიწონეს, რამდენიმე კაცმა თავიანი აზრი გამოთქვა და ბოლოს ყველანი ერთად ამ დასკვნამდე მივედით, რომ საჭიროა უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ კომუნისტს წმინდა სახელს.

როგორ ვახორციელებთ ამას პრაქტიკულად?

დღე არ გავა, რომ ახლა პარტიულ კომიტეტში რომელიმე კომუნისტი არ შემოვიდეს და რაიმეს შესახებ თავისი აზრი არ გამოთქვას.

ტრაქტორისტმა შ. მძევლურმა დიდი ჩანაფიქრის შემდეგ ისე მოახდინა გუთნის ფრთების გადანაცვლება, რომ შესაძლებელი გახადა მცენარეთა ძირების მთლიანი გამოხვნა. საკითხი აქტუალურად მივიჩნიეთ და ვთხოვეთ შ. მძევლურს ამის შესახებ თვითანგარიშით გამოსულიყო კომუნისტების წინაშე. ასეც მოხდა. შ. მძევლურმა მოიტანა ნახაზები და დაწვრილებით მოამყვა მთელი იმ მუშაობის შესახებ, რაც გასწია ამ საახლის გამოგონებისათვის.

მალე მოწინავე ტრაქტორისტს ეს გამოცდილება უკვე ფართოდ გავრცელდა მეურნეობაში.

კომუნისტების თვითანგარიშებზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში მარტო ზემოთ მოყვანილი მაგალითი როდი გვაქვს. აქ ვთვალისწინებთ კომუნისტის აქტივობას როგორც სამეურნეო საქმიანობაში, ისე პარტიულ დავალებათა შესრულებაშიც. ამ ბოლო ხანებში პარტიულ კრებებზე თვითანგარიშებით გამოვიდნენ კომუნისტები გ. სირბილაძე, ზ. ტაბატაძე, ვ. კაპანაძე, ვ. აფციაური და სხვები. მათ ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ. როგორც აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, პროპაგანდისტები, ხპორტსმენები.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ კომუნისტების თვითანგარიში დადებით გავლენას ახდენს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე.

თ. აბზიანიძე.

პოლიტინფორმატორთა საქალაქო კონფერენცია

ჭიათურა. (საკ. კორ.). ექვსასამდე კაცი შეიკრიბა პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა პირველ საქალაქო კონფერენციაზე. მას „ესრეროდნენ აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, ლექტორ-მომხსენებლები.

კონფერენციის დღის წესრიგში იყო საკითხი: პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ო. გოგატიშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ახალი ითხვისის მაღაროს პარტბიუროს მდივნის ბოდგილემ შ. ჩაჩანიძემ, რგანის აგიტ-კოლექტივის ხელმძღვანელმა ალ. შუყლაძემ, საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. გაფრინდაშვილმა. კონფერენციის მონაწილეებს თვალით გამოცდილებაზე მოუთხრეს ლენინის სახელობის მაღაროს პოლიტინფორმატორმა ი. შუბითიძემ, ნავარეთელმა აგიტატორმა ნ. ბრეგვაძემ, ზოდის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ლ. გოგოლაძემ, ბინათმშენებლობის სამმართველოს პარტბიუროს მდივანმა ვ. დოლიძემ და სხვებმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. აბესაძე.

პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის კონფერენციამ მიიღო მიმართვა მარგანეცის ქალაქის ყველა მშრომელისადმი.

მოწინავე აგიტატორებსა და პოლიტინფორმატორებს გადაეცათ პარტიის საქალაქო კომიტეტის სპატიო სიგელები და ჯილდოები.

პარტიული ქრონიკა

● **ზუგდიდი.** (საკ. კორ.). პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო კედლის გაზეთების რედაქტორთა თანამეგობრობა. მოხსენებით — „ძირეული პრეს[illegible] — [illegible] — [illegible] რაიონული გაზეთის რედაქტორი ი. ქორთუა.

თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს კედლის გაზეთების რედაქტორებმა ვ. ძანძავამ, ნ. ოყუჯავამ, ნ. ნაჭყებიამ, ლ. ჩაჩიბაიამ, ლ. კოდუამ, ვ. ხანაძემ და ი. ჭედიამ.

თვითმირსემინარზე გარჩეულ იქნა ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის, მეექვსე საშუალო სკოლის, ენგურჰესის მშენებელთა კედლის გაზეთების ცალეული ნომრები.

● **ახალციხე.** (საკ. კორ.). გაიმართა პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მოხსენებით რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ გამოვიდა საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შ. გრძელიშვილი.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის პარტბიუროს მდივანმა ი. ნათენაძემ, წყალთბილის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. კარაპეტიანმა, ურავლის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ზ. გოგოლაძემ, ახალციხის მებოსტნეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის საძელის საუბნო პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა გ. ტოროსიანმა, აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ქ. გვიშიანმა, პარტიის რაიკომთან არსებული კომუნისტების პერსონალური საქმეებისა და პარტიაში შემსვლელთა განცხადებების წინასწარ განმხილველი შტაბგარეშე კომისიის თავმჯდომარემ ბ. ახვლედიანმა.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის განათლების მინისტრის მ. ა. პროკოფიევის მოხსენება მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, თქვა მ. ა. პროკოფიევმა, უკანასკნელი პერიოდი მდიდარი იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით. მათ შორის უდიდესი მოვლენაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა და ყოველმხრივ დაასაბუთა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, განამტკიცა და განავითარა პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური პრინციპები და ნორმები.

სოციალიზმის, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს დაუშრეტელი ძალების ტრიუმფი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ზეიმი. პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში დიდი მოვლენაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმი, რომელმაც განიხილა საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის ბრძოლის აქტუალური პრობლემები. საბჭოთა მასწავლებელები მთლიანად და სავსებით იწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს და ყოველ ღონეს იხმარენ მათი განხორციელებისათვის.

ჩვენი შოვალეობაა აღზრდის ყველა საშუალება მოვახმაროთ იმას, რომ თვითეულ საბჭოთა ადამიანს განეუმტკიცოთ კომუნისტური რწმენა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, იდეური სიმტკიცის გრძნობები და უნარი წინააღუდგეს ყოველგვარი ფორმის ბურჟუაზიულ გავლენას.

ვ. ი. ლენინს, თქვა მომხსენებელმა, სახალხო განათლება, კულტურული მშენებლობა მიიჩნია ახალი საზოგადოების შექმნის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად. იგი მუდამ აღნიშნავდა, რომ კულტურის განვითარების საკითხების გადაჭრას განუყოფელად უნდა ვუკავშირებდეთ სოციალისტური სახელმწიფოს კონკრეტულ ისტორიულ ამოცანებს. მარქსს, ენგელსს, ლენინს მიერ შექმნილმა მეცნიერული კომუნიზმის თეორიამ, უღრმესმა სოციალურმა გარდაქმნებმა და სოციალისტური დემოკრატიის მაღალმა პრინციპებმა განსაზღვრეს საბჭოთა სკოლის შექმნისა და განვითარების გზები.

სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, თანამედროვე წარმოების მრავალგვარი საჭიროება გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს ახალგაზრდობის საგანმანათლებლო და კულტურულ დონეს. პარტიის XXIII ყრილობამ სახალხო განათლების დარგში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა 1970 წელს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. ეს იქნება ხალხის შემდგომი კულტურულ-ტექნიკური აღმავლობის ქმედითი საშუალება, ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებული განსხვავების დაძლევის უძლიერესი ბერკეტი.

განსაზღვრავს რა სკოლის მუშაობაში მთავარ მიმართულებას, კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს იმით, რომ საშუალო სკოლა უნდა ვითარდებოდეს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, შრომის, პოლიტექნიკური სკოლა. იგი მოწოდებულია მოსწავლეები შეაიარაღოს მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნით, ჩამოაყალიბოს მატერიალისტური მსოფლმხედველობა და კომუნისტური ზნეობა, მომამზადოს თავისი აღსაზრდელები ცხოვრებისათვის, პროფესიის შეგნებული არჩევისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10-ნოემბრის დადგენილებაში „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შემუშავებულია სკკპ XXIII ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელების კონკრეტული გზები.

საყოველთაო საშუალო განათლება სკოლის განვითარების ახალი ეტაპია, ბაზისამთა აღნიშნა მომხსენებელმა. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ჩვენი ამოცანები, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვუპასუხოთ კითხვებზე: როგორია სკოლის ახლანდელი ეტაპის თავისებურებანი, რა შედეგები გამომდინარეობს აქედან ახალგაზრდა თაობის სწავლისა და აღზრდისათვის, სკოლისათვის.

დღევანდელობის ახასიათებს კლასობრივი ბრძოლების გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებში, იდეოლოგიური ბრძოლის გაძლიერება დაპირისპირებულ საზოგადოებრივ სისტემათა შორის. ეს ბრძოლა მოიცავს ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, განათლების, სკოლის დარგსაც. ბურჟუაზიული იდეოლოგიის ამოლოგეტები ხან ამჟარად, ხან გულდასმით შენიღბულად ყველა კალთის იარაღის ცეცხლს უშენენ თანამედროვეობის მოწინავე, რევოლუციურ პოზიციებს.

ჩვენი სკოლის ამოცანა, უწინარეს ყოველისა, ის არის, რომ თავისი აღსაზრდელები შეაიარაღოს თანამედროვე მსოფლიოს განვითარების — კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ და სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების მეცნიერული კანონების საფუძვლებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, სკოლის თვითეული აღსაზრდელის მიერ საზოგადოების განვითარების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად დაუფლებას ჩვენს დროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საგანმანათლებლო სისტემაზე საერთოდ და სასკოლო სისტემაზე, კერძოდ, თავის გავლენას ახდენს აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. იგი იწვევს გონებრივი შრომის წილის გადიდებას საერთო შრომითს დანახარჯებში და გონებრივი საქმიანობის ხვედრითი წონის ამაღლებას თვითეული მუშაკის შრომითს დანახარჯებში. ამრიგად, ზოგადი განათლების მაღალი დონე საზოგადოებრივად საჭირო ხდება.

სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა საყოველთაო საშუალო განათლების შემოსაღებად. 1968 წელს საშუალო სკოლას ამთავრებს 2,6 მილიონზე მეტი კაცი, რაც ერთიორად აღემატება 1960 წლის გამოშვებას. იმ ახალგაზრდების 81 პროცენტზე მეტი, რომლებმაც 1967 წელს დაამთავრეს რვაწლიანი სკოლა, განათლებას განაგრძობს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის უფროს კლასებსა და ტექნიკუმებში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გიიხსნა თითქმის 7,5 ათასი ახალი საშუალო სკოლა. ქალაქ მოსკოვში, სომხეთსა და საქართველოში, რუსეთის სფსრ მთელ რიგ ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში საშუალო განათლებას იღებს ახალგაზრდობის 90 პროცენტზე მეტი.

ამასთანავე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საშუალო განათლებაში ახალგაზრდა თაობის სრული ჩაბმის ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა დიდი შრომა და მეცადინეობა. მისი შესრულება მარტო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის საქმე როდია. ამაზე უნდა იზრუნონ აგრეთვე საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა, პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა, საღამოს და დაუსწრებელმა სკოლებმა. მხარს უნდა ეუჭიროდეთ და ვავითარებდეთ ახალგაზრდობის მისწრაფებას მიიღოს სრული საშუალო განათლება.

საყოველთაო საშუალო განათლების შემოღება მასწავლებლებისა და სახალხო განათლების ორგანოების წინაშე მთელ რიგ რთულ საკითხებს აყენებს. საჭიროა ავამაღლოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დონე საერთოდ, და განსაკუთრებით რვაწლიან სკოლაში. უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების მთელი რიგი რაიონების გამოცდილება გვარწმუნებს, რომ შესაძლებელია ამ საქმის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

როგორც მომხსენებელმა თქვა, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ორიენტაციას, რომ მოსწავლეთა განვითარებისათვის შეკვმნილ მოვლენათა ღრმა ანალიზის პირობები, ჩავუნერგოთ მათ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, დამოუკიდებელ სწავლის უნარი. სკოლა ახლა ვეღარ იძლევა ცოდნის მარაგს მრავალი წლისათვის. მან უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს ცოდნის განუწყვეტელი შევსების მოთხოვნილება.

განათლების შინაარსის შეცვლა, პოლიტექნიკური მომზადების გამდიდრება ბევრ სხვა ცვლილებასაც იწვევს. აუცილებელი ხდება მეცადინეობის კაბინეტური სისტემა; იზრდება სწავლების ტექნიკურ საშუალებათა მნიშვნელობა. იცვლება გაკვეთილების გადაცემის მეთოდები, ფართოდ ვრცელდება ისეთი მეთოდები, რომელთა მეოხებით მოსწავლეები აქტიურად ითვისებენ მასალას. აქედან გამომდინარეობს ახალი მოთხოვნებიც მასწავლებლის მომზადებისადმი, მისი ძველებური ინიციატივის ამაღლების სისტემისადმი, სკოლის მართვისადმი.

ჩვენი უახლოესი ამოცანაა, აღნიშნა მ. ა. პროკოფიევმა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისათვის შემოვიღოთ სკოლებში ახალი პროგრამები და სახელმძღვანელები, როგორც ეს გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით. მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე ზოგიერთ საკვანძო მომენტსა და დასკვნას. როგორც ცნობილია, გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად შეიცვალოს საპროგრამო მასალა განათლების დაწყებითი სტადიისათვის. დაწყებითი ცოდნის მიღება დედანასა და მათემატიკაში, წერის, კითხვის, მარტივ არითმეტიკულ მოქმედებათა ჩვევების ჩანერგვა ნავარაუდევია პირველ სამ წელიწადში. წინადადებებს დაწყებითი სწავლების შინაარსის შეცვლის შესახებ ახლა პრაქტიკულად ამუშავებენ რამდენიმე ათას სკოლაში. დასახულია მთელ რიგ რესპუბლიკებში 1969 წლიდან ახალი პროგრამები შემოიღონ ყველა პირველი კლასისათვის. ეს მოითხოვს მასწავლებელთა დიდ მუშაობას, მასალის ახლებურად დალაგებას, მისი შესწავლის სხვა ტემპს, ახალ სახელმძღვანელოებს. სასწავლო პროცესს სრულყოფაში მთავარი პოზიციაა მათემატიკის, დედანების და ლიტერატურის სესტემატური კურსების შესწავლა არა მე-5 კლასიდან, როგორც ეს წინათ იყო, არამედ მე-4 კლასიდან. ახალ პროგრამებს სერიოზული ცვლილებანი შეაქვთ მათემატიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, ლიტერატურის კურსში. ახალგაზრდების იდეური სახის ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებათმცოდნეობის კურსს.

მ. ა. პროკოფიევმა თქვა, რომ სასწავლო პროცესის სრულყოფის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მაღალხარისხოვან სახელმძღვანელებზე.

ზოგადსაგანმანათლებელო სკოლისათვის პრინციპული სიახლეა ნებაყოფლობითი მეცადინეობის შემოღება მოსწავლეთა დაინტერესების მიხედვით სავალდებულო სასწავლო გეგმის დამატებით. ფაკულტატიური კურსების მიზანია შესაძლებლობა მისცეს მოსწავლეებს ჩასწვდნენ მათემატიკის არსს, სამშობლოს ისტორიის პრობლემებს, მიიღონ ცნობები ეკონომიურ და ბევრ სხვა საინტერესო საკითხზე.

მომხსენებელმა ყურადღება მიაქცია სოფლად საყოველთაო საშუალო განათლების პრობლემას. სოფლებში მუშაობს თითქმის 69 ათასი მცირეკომპლექტური დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა, რომლებშიც ძნელია ეფექტიანი სასწავლო პროცესის ორგანიზაცია, მათი გამსხვილება დამოკიდებულია დასახლებული პუნქტების გამსხვილებაზე. მაგრამ ეს ნელი პროცესია. სასკოლო ინტერნატების განვითარებამ, იქ აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფამ შეიძლება ხელი შეუწყოს პრობლემის გადაჭრას. უკვე ახლა ინტერნატებში 1,3 მილიონი მოსწავლე ცხოვრობს. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ უახლოეს წლებში გავადიდოთ სასკოლო ინტერნატების ქსელი, განსაკუთრებით სოფლად, შევუქმნათ მათ მატერიალური ბაზა, მოვაწყოთ იქ ბავშვების ნორმალური კვება და ყოფაცხოვრება. თუმცა ამ ბოლო დროს კოლმეურნეობები ბევრ ყურადღებას უთმობენ სკოლას (1967 წელს, მაგალითად, მათი სახსრებით აშენდა სკოლები 500 ათასი მოსწავლისათვის), მაინც სასოფლო სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცება დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანაა. სოფლის მასწავლებელს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ სულ უფრო მეტად დაეხმარონ სკოლას.

საყოველთაო საშუალო განათლების ამოცანის გადაჭრაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა საღამოსა და დაუსწრებელ სკოლას. უკვე იმ გარემოებას, რომ 4,5 მილიონამდე ახალგაზრდა, მეტწილად 25 წლამდე ასაკისა, თავისი დასვენების მნიშვნელოვან ნაწილს წიგნზე მუშაობაში ატარებს, დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს. ყოველწლიურად 600–700 ათასი კაცი ამთავრებს ამ სკოლებს. საჭიროა ავამაღლოთ სწავლების ხარისხი, გავადიდოთ მოთხოვნები მოსწავლეთა ცოდნისადმი. უნდა გავუფრთხილდეთ მასწავლებელთა იმ რაზმს, რომლებმაც გამოცდილება შეიძინა, და დავასაქციაოთ უფროსებთან მუშაობისათვის.

მინისტრმა დაახასიათა საბჭოთა სკოლის როლი ახალი ადამიანის აღზრდაში. მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XIX კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „...როცა იდეოლოგიურ მუშაობაზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობთ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდაზე. ეს დიდი, საერთოპარტიული, საერთოსახელმწიფოებრივი საქმეა. არსებითად, ეს ჩვენი საზოგადოების მომავალი განვითარების საკითხია“.

ჩვენ შეგვიძლია კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს განვუცხადოთ, თქვა მომხსენებელმა, რომ პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა მასწავლებლების არმია ყველაფერს აკეთებს და გააკეთებს, რათა კომუნისტური იდეოლოგია გახდეს თვითეული საბჭოთა მოსწავლის პირადი რწმენა.

მთელ აღმზრდელობითს მუშაობაში მთავარია ის, რომ ყველა მოსწავლე კომუნიზმისათვის მტკიცე მებრძოლი გაიზარდოს. საბჭოთა პედაგოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დამაარსებელი — ანტონ სემონის-ძე მაკარენკო სამართლიანად შენიშნავდა, რომ აღზრდის ყოველი ნაბიჯი ჩვენში გამსჭვალული უნდა იყოს პოლიტიკური აღზრდის თვალსაზრისით.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება მიმდინარეობს მთელი სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში. ბუნებისმეტყველების და მათემატიკური ციკლის საგნები ბავშვებს ბუნების კანონებს აცნობენ.

ჰუმანიტარული დისციპლინები წარმოდგენას გვაძლევენ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა შესახებ. ძალღონის დაუზოგავად უნდა ვაუმჯობესებდეთ ყველა სასკოლო საგნის სწავლებას, ვამდიდრებდეთ მათ მსოფლმხედველობითი იდეებით.

დღეს სკოლას მოეპოვება მოსწავლეთა ჰეროიკულ-პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მდიდარი არსენალი.

კომუნისტური პარტია და მთავრობა აღიარებენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის შრომას, თქვა მომხსენებელმა. ამას მოწმობს 250 ათასზე მეტი მასწავლებლის დაჯილდოება საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. და აი კიდევ სასიხარულო ცნობა: საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო აღმზრდელთაგან 70 საუკეთესო მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ვეულოცავთ ჩვენს ძვირფას გმირებს ამ მაღალ ჯილდოს.

მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის შრომის აღზრდას. საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს მოელმა სისტემამ ახალგაზრდა უნდა მომამზადოს შრომისათვის, სახალხო მეურნეობის გარკვეულ უბანზე მუშაობისათვის. როგორც წესი, ახალგაზრდამ, სკოლის დამთავრების შემდეგ, ან პროფესიულ სასწავლებელში, ან კურსებზე თუ სხვა გზით უნდა მიიღოს კვალიფიკაცია და დადგეს სამუშაო ადგილზე. სკოლა უნდა ამზადებდეს მას ამისათვის.

მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში პიონერული და კომკავშვრული ორგანიზაციები. სწორედ თავიანთ კომუნისტურ ორგანიზაციებში ბავშვები და მოზარდები გადიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის პირველ სკოლას, უშუალო მონაწილეობას იღებენ კომუნისტური მშენებლობის მათთვის შესაძლისი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაში. კომკავშვრულ და პიონერულ ორგანიზაციებზე დაუფრდნობლად წარმატება ვერ ეუფლებოდა სკოლის კოლექტივს. საჭიროა ხელი შეეწყოთ ამ ორგანიზაციების მუშაობის თვითმოქმედი ფორმების განვითარებას, მათი პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, აღიკვეთოთ ყოველგვარი ფორმალური მოსაჩვენებელი ღონისძიებანი. უნდა ვეხმარებოდეთ დიდი ტაქტით, ყოველნაირად ვავითარებდეთ ბავშვთა აქტივობას, ვერიდებოდეთ მეურჭეობას.

ამჟამად, ამბობს მ. ა. პროკოფიევი, სკოლა მუშაობს დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩვენი ქვეყანა იმზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა აღზრდას ლენინის ცხოვრებისა და ბრძოლის მაგალითზე, იმას, რომ შთავონერგოთ მათ მაღალი ზნეობრივი თვისებები, ერმა კომუნისტური რწმენა ლენინიზმის უკვდავი იდეების საფუძველზე.

ახალგაზრდა თაობის აღზრდასა და განათლების წარმატებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მასწავლებელი. მომხსენებელს მოაყავს პედაგოგთა არმიის გიგანტური ზრდის მტკიცემტყველური ციფრები. თუ მასწავლებელთა პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის დროს, რომელიც 1925 წლის იანვარში მიმდინარეობდა, ჩვენი ქვეყნის სკოლებში მუშაობდა 251 ათასი კაცი, ამჟამად მუშაობს 2.5 მილიონზე მეტი, ანუ 10-ჯერ მეტი. მასწავლებელთა უდიდეს უმრავლესობას აქვს ზოგადი და პროფესიული განათლების მაღალი დონე. მასწავლებელთა ეროვნული შემადგენლობა ასახავს ჩვენი საზოგადოების შემადგენლობას. განათლების მუშაკთა რიგებში შრომობს 630 ათასი კომუნისტი და 450 ათასი კომკავშვრელი.

საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის პროცესი კიდევ უფრო აძლიერებს მასწავლებლის შრომის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მეტ მოთხოვნებს უყენებს მის მომზადებასა და ცოდნას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა მუდმივ პროფესიულ-პედაგოგიურ დახელოვნებას.

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ განვითარდა პედაგოგიური განათლება. ამჟამად მასწავლებლებს ამზადებს 208 პედაგოგიური ინსტიტუტი, 42 უნივერსიტეტი, 392 პედაგოგიური სასწავლებელი. სკოლებში ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოებს, აგრეთვე ფაკულტატიური კურსების შემოღება მოითხოვს პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლებისა და სასწავლებელთა სასწავლო გეგმების გაუმჯობესებას.

უნდა მივიღოთ ზომები მომავალი მასწავლებლების პოლიტიკური აღზრდის და გამობრძმედის გასაძლიერებლად. მაღალი ინტელექტუალობა, რაც საყოველთაო მოვლენა გახდა სოციალისტურ საზოგადოებაში, უფრო საფუძვლიან მოთხოვნებს უყენებს მასწავლებლის ერუდიციასა და კულტურას.

საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა მოითხოვს უფროსი კლასების მასწავლებელთა დამატებითს რაოდენობას, განსაკუთრებით სოფლად. უნდა მივიღოთ ქმედითი ზომები, რათა სოფლის სკოლები უზრუნველყოთ უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებით.

მეტ წილ ქალაქებსა და სოფლებში ადგილობრივი საბჭოები დიდ ყურადღებას უთმობენ მასწავლებელთა ყოფაცხოვრებას. მაგრამ, სამწუხაროდ, გამონაკლისიც არის.

მასწავლებლის წინაშე ვალში არიან შემოქმედებითი მუშაკები. საბჭოთა მკითხველი და მაყურებელი მთელ ბევრ ლექციებს, ნოველებს, ფილმებს, პიესებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომლებიც შეიფერება მასწავლელი კეთილშობილურ შრომას.

